საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამილახვარი რევაზ ოთარის ძე

ამილახვარი რევაზ ოთარის ძე, აღმ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე XVIII ს. შუა წლებში.

მონაწილეობდა გივი ამილახვრის აჯანყებაში სპარსელთა წინააღმდეგ. 1744-იდან თეიმურაზ II-ის მხარეზე გადავიდა. 1750 დანიშნეს თბილ. ციხისთავად (მინბაშად), 1754 – ქართლის ნაიბად. 1772 ამილახორობა მიიღო. დაკავშირებული იყო ერეკლე II-ის ოჯახთან – მისი ქალიშვილი სალომე ცოლად ჰყავდა იულონ ბატონიშვილს.

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ., ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები კრ.: ძველი საქართველო, ტ. 2, ტფ., 1913.

ლ. ტუხაშვილი